## ხელშეკრულება № 39

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
## (გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ამბროლაური 15 ნოემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) (შემდგომში–შემსყიდველი), წარმოდგენილი რწმუნებულის-გუბერნატორის გიორგი ჭელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი მშვილდაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის № 26 დადგენილების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

ხელშეკრულების საგანია ადმინისტრაციის კუთვნილი ავტომანქანებისათვის საბურავების შესყიდვა ხელშეკრულების პირობებისა და №1 დანართის შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. (CPV კოდი , 34351100).

### *2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება*

შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განისაზღვრება 7650 (შვიდიათას ექვსას ორმოცდაათი) ლარით. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

### *3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შესაბამისობაში იქნება მოქმედ ნორმებთან და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

### *4. საქონლის მიწოდების ვადები, და ადგილი.*

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2012 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი.
**4.2** შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

### *5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელსაც ხელს აწერენ მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები.
5.2 საქონლის მიწოდება შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად.

### *6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.*

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორებით
6.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტზე შემსყიდველის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

### *7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
7.4მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში რაც მითითებულია ხელშეკრულების 4.1 პუნქტში.

### 8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან ახორციელებენ საფინანსო – სამეურნეო სამსახურის უფროსი ზურაბ დეალი.
8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

### 9.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.
9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ერთ - ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

### 11.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

### 13.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

*შემსყიდველი:*

*სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია*
*ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში*
*(ამბროლაური, ლენტეხი, ონი, ცაგერი) ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქ. № 1*
*სახელმწიფო ხაზინა კოდი №220101222 ა/ა №200122900,*
*ს/კოდი №222938007*

*რწმუნებული – გუბერნატორი:* *გიორგი ჭელიძე*

*მიმწოდებელი:*
*შპს „თეგეტა მოტორსი“*
*ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №5*
*ს/ს „თიბისი ბანკი“ ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101830*
*ა/ა GE80TBO60000002446853*
*ს/კ 202177205*

*გენერალური დირექტორი:* *გიორგი მშვილდაძე*

ხელშეკრულება №39-ის დანართი № 1

| № | CPV კოდი | საქონელი | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | მთ. თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 34351110 | საბურავი BSJ 245/70R16 107R DMV-1 | ცალი | 12 | 390.00 | 4680.00 |
| 2 | | საბურავი BSJ 265/60R18 110R DMV-1 | ცალი | 4 | 515.00 | 2060.00 |
| 3 | | საბურავი Nank 285/60R18 116T RW11 | ცალი | 2 | 455.00 | 910.00 |
| | | სულ | | | | 7650.00 |

საბურავის ფასი მოიცავს მისი მონტაჟისა და ბალანსირების ღირებულებას

შემსყიდველი:

---------------------------------

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

გიორგი ჭელიძე

მიმწოდებელი:

---------------------------------

შპს თეგეტა მოტორსის გენერალური დირექტორი

გიორგი მშვილდაძე